დაბრუნება & გაცვლა

ნივთის გამოყენების, დაბრუნების და გაცვლის პირობები:

შეძენილი ნივთის გამოყენების ზოგადი წესები:

- ნივთის შეძენამდე, მნიშვნელოვანია ყველა ტექნიკურ მახასიათებლთან გაცნობა, რათა სწორად დადგინდეს ნივთის შესაბამისობა შენს წინაშე არსებული საჭიროებებთან;
- შეძენილი ნივთის გამოყენება აუცილებლად უნდა მოხდეს ინსტრუქციის მიხედვით;

ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია:

- ნივთის ყუთში თანმხლებ დოკუმენტაციაზე;
- საქართველოში რეგისტრირებულ ნომერზე დაკავშირებით, ან ონლაინ ჩატში, შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტებთან გასაუბრებით.

კატეგორიულად აკრძალულია:

- ნივთების არადანიშნულებისამებრ გამოყენება;
- ელექტრონული მოწყობილებების სხვა მოწყობილობის დამტენით, ან სადენით ელექტრო წრედში შეერთება;
- ელექტრონული მოწყობილებების სხვა მოწყობილობის დამტენით, ან სადენით ელექტრო წრედში შეერთება;
- ცვლადი დენის რისკის შემთხვევაში, აუცილებელია ელექტროენერგიის უწყვეტი კვების წყაროს (სტაბილიზატორის) გამოყენება;

ნივთის დაბრუნების შეცვლის პირობები:

ზოგადი ინსტუქცია:

- ტექნიკური წუნის ან/და დადგენილი ვიზუალური დეფექტის გამო, ნივთის დაბრუნება ხდება მისი შეძენიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში;
- დაბრუნების ძირითად პირობებს განსაზღვრავენ გამყიდველი მაღაზია, მისი შიდა პოლიტიკის შესაბამისად;
- მაღაზიაში არსებული გარანტიები, დაბრუნების და გაცვლის პირობები, ზუსტი ანალოგით ვრცელდება ნივთის skhivistore.ge -ზე გაყიდვის შემთხვევაში;
- დაბრუნების პროცესის წამოსაწყებად, საჭიროა skhivistore.ge-ს ცხელ ხაზზე აცნობოთ დასაბრუნებელი პროდუქტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები: შეკვეთის ნომერი, შეკვეთის მისამართზე მიღების თარიღი; ტრანზაქციის (გადახდის) დამადასტურებელი ინფორმაცია;

თუ ნივთს გახსნისთანავე (ყუთიდან ამოღებისთანავე) აქვს ვიზუალური დეფექტი:

- გადაიღეთ ვიზუალური დეფექტის ფოტოსურათები;
- ნივთის მიღებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში, დაუკავშირდით skhivistore.ge-ს და მიაწოდეთ ფოტო მასალა, შეკვეთის იდენტიფიცირებელი მონაცემები და ხარვეზის დეტალური აღწერილობა;

თუ შეძენილ ნივთს ჩაბარებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში აღმოჩნდება ქარხნული დეფექტი (არ მუშაობს):

- დაზიანებული ნივთი აღნიშნულ ვადაში უნდა წარედგინოს იმ სერვის ცენტრს, რომელიც გამყიდველ მაღაზიას ემსახურება;
- ნივთი, რომელზეც დადასტურდება ქარხნული დეფექტი, შეიცვლება გამყიდველი კომპანიის მიერ დადგენილი წესით.
- ნივთის შეცვლა დაშვებულია მხოლოდ სრული კომპლექტაციით, აუცილებელია ყუთის და ყველა აქსესუარის შენახვა;

ნივთის დაბრუნების / შეცვლის პროცესის წამოწყება ასევე შესაძლებელია, თუ:

- მომხმარებელთან მიტანილი ნივთი არ შეესაბამება შეკვეთაში არსებული ნივთის მახასიათებლებს;
- ნივთი დაზიანდა მიტანის პროცესში (გარეგანი დაზიანებები);

ნივთის დაბრუნების/შეცვლის ვადები:

- ვადები დაცული იქნება გამყიდველი მაღაზიის და მისი მომსახურე სერვის ცენტრების შიდა სტანდარტების შესაბამისად;

უკან დაბრუნების/შეცვლის ტრანსპორტირების ხარჯები:

skhivistore.ge აანაზღაურებს პროდუქტის დაბრუნების ტრანსპორტირების ხარჯებს, იმ შემთხვევაში თუ:

- მომხმარებელთან მიტანილი ნივთი არ შეესაბამება შეკვთაში არსებული ნივთის მახასიათებლებს;
- ნივთი დაზიანდა მიტანის პროცესში (გარეგანი დაზიანებები);
- დადასტურდა ტექნიკური წუნი და ვიზუალური დეფექტი.